2-6377/23
28-04-2023

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს NN 92/1; 15.11.2021 და 188/4; 10.10.2022 გადაწყვეტილებებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს სავალდებულოდ განსახილველად გადმოეცა:

- საქართველოს პარლამენტის წევრების: ალექსანდრე რაქვიაშვილის, იაგო ხვიჩიასა და ვახტანგ მეგრელიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№**07-3/117; 05.11.2021**);
- საქართველოს პარლამენტის წევრების: ანა ნაცვლიშვილის, სალომე სამადაშვილის, დავით უსუფაშვილის, შალვა შავგულიძის, პაატა მანჯგალაძის, ხატია დეკანოიძისა და თამარ კორძაიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№**07-3/252; 05.10.2022**).

აღნიშნული საკითხების სავალდებულო წესით განხილვის ვადა განსაზღვრულია 2023 წლის 01 მაისამდე, თუმცა, ობიექტურ მიზეზთა გამო, კომიტეტი ვერ ახერხებს ამ საკითხების მითითებულ ვადაში განხილვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვის ვადის გაგრძელება **60 დღით**.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ სარჯველაძე